ძირითადი საშუალების გაერთიანება

სისტემაში შესაძლებელია სხვადასხვა ძირითადი საშუალებების შეიქმნას ერთი ძირითადი საშუალება. მაგალითად გავაერთიანოთ ჩვენს მიერ დამატებული მაგიდა და სკამები ერთი დასახელების ქვეშ. ძირითადი საშუალების გაერთიანების ოპერაციის შესასრულებლად გამოიძახეთ ძირითადი საშუალებების სია - „ამოცანები/ ძირითადი საშუალებები/ძირითადი საშუალებები სია“.



კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეული	ცვეთის დარიცხვის მეთოდი	საინვენტარიზ ნომერი	წარმოება თარიღი	მიღების თარიღი	ექსპლუატ შესვლის თარიღი	ვარგისიანო თარიღი	დახურვის თარიღი	დახურულია დაშლის შედეგად	საბალანსო ღირებულება	სალიკვიდაციო ღირებულება
1	კომპიუტერი	5	ცალი	წრფივი	0001					16.11.2021	☑	10369.49	
6	სკამი	6	ცალი	წრფივი	0006						☐	1200.00	
21	მაგიდა	1	ცალი	წრფივი	0021						☐	1350.00	
1	კომპიუტერი	2	ცალი	წრფივი	0001/1						☐	4147.80	
1	კომპიუტერი	3	ცალი	წრფივი	0001/2						☐	6221.69	

აირჩიეთ გასაერთიანებელი ძირითადი საშუალებები. ჩვენს შემთხვევაში მონიშნეთ მაგიდა და სკამები და ღილაკების სისტემიდან დააჭირეთ ღილაკს -



	კოდი	დასახელება	საინვენტარ ნომერი	ჯგუფი	რაოდენობ	ერთეულ	საბალანსო ღირებულებ	სალიკვიდაც ღირებულებ	ჯამური ცვეთა	ცვეთის დასარიცხ თანხა	ნარჩენი ღირებულ	საბალანსო ღირებულები მშობელი
1	6	სკამი	0006		6.0000	ცალი	1200.00			240.00	1200.00	2170
2	21	მაგიდა	0021		1.0000	ცალი	1350.00			270.00	1350.00	2170

ეკრანზე მოცემულია ჩვენს მიერ არჩეული ძირითადი საშუალებები. გადადით მომდევნო გვერდზე ღილაკზე „შემდეგ“ დაჭერით. გამოსულ ეკრანში უნდა მივუთითოთ ახალი ძირითადი საშუალების მონაცემები. მაგალითისთვის ეკრანი შევავსოთ შემდეგნაირად



შეგიძლიათ შეცვალოთ საბალანსო ღირებულებისა და ცვეთის დარიცხვის მშობელი ანგარიშის ნომრები.

ანგარიშის ნომრის შეტანის დროს იხილავთ ყველა იმ ანგარიშის ჩამონათვალს, რომელთა ნომრებიც იწყება თქვენს მიერ აკრეფილი ციფრებით. ან აღნიშნული ველის გასწვრივ დააჭირეთ ღილაკს ...- . იხილავთ ანგარიშთა გეგმას, საიდანაც შეგიძლიათ აირჩიოთ სასურველი ანგარიში. იგივენაირად შეგიძლიათ შეცვალოთ ღირებულების ცენტრი და ერთეული. დააჭირეთ ღილაკს „შემდეგ“



გამოსულ ეკრანში მიუთითეთ ოპერაციის თარიღი, დოკუმენტის ნომერი. კომენტარის ველი ოპერაციის შინაარსიდან გამომდინარე სისტემამ ავტომატურად შეავსო. თუმცა შეგიძლიათ შეცვალოთ. მიუთითეთ სასურველი მემორიალი ან დატოვეთ სისტემის მიერ დაფორმირებული მემორიალის ნომერი და დაასრულეთ ოპერაცია. ეკრანზე იხილავთ გაერთიანების შედეგად შექმნილ ახალი ძირითადი საშუალების ბარათს.



მოცემულ ეკრანში შეგიძლიათ შეიტანოთ თქვენთვის სასურველი ცვლილებები. გადადით ბარათში „ცვეთა“



როგორც ხედავთ ველებში „საბალანსო ღირებულება“, „ნარჩენი ღირებულება“ და „ცვეთის დასარიცხი თანხა“ მითითებულია გაერთიანებული ძირითადი საშუალებების (სკამისა და მაგიდის) თანხების ჯამები. შეინახეთ ძირითადი საშუალება

კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეული	ცვეთის დარიცხვის მეთოდი	საინვენტარო ნომერი	წარმოების თარიღი	მიღების თარიღი	ექსპლუატ. შესვლის თარიღი	ვარგისიანობ. თარიღი	დახურვის თარიღი	დახურულია დაშლის შედეგად	დახურულია გაერთიანების შედეგად	სა ღ
1	კომპიუტერი	5	ცალი	წრფივი	0001					16.11.2021	☑	☐	
6	სკამი	6	ცალი	წრფივი	0006					16.11.2021	☐	☑	
21	მაგიდა	1	ცალი	წრფივი	0021					16.11.2021	☐	☑	
1	კომპიუტერი	2	ცალი	წრფივი	0001/1						☐	☐	
1	კომპიუტერი	3	ცალი	წრფივი	0001/2						☐	☐	
0007	მაგიდა 6 სკამით	1	ცალი	წრფივი	0006/0021						☐	☐	

ძირითადი საშუალებების სიაში გაერთიანებული ძირითადი საშუალებები მიიღებს წითელ შეფერილობას, ველში „დახურვის თარიღი“ მიეთითება ოპერაციის თარიღი და მოენიშნებათ ველი „დახურულია გაერთიანების შედეგად“. ამავდროულად შეიქმნება გაერთიანების ოპერაციის შესრულების დროს დამატებული ახალი ძირითადი საშუალება შესაბამისი რაოდენობებით და თანხებით.

იმისათვის რომ ნახოთ თქვენს მიერ შესრულებული გაერთიანების ოპერაციის შესაბამისი საბუღალტრო გატარებები, გამოიძახეთ მენიუ ბუღალტერია/გატარებები



მოძებნეთ გატარებები, რომელთაც ოპერაციის ტიპში მითითებული აქვთ „ძირითადი საშუალების გაერთიანება“ და გააკორექტირეთ.



საბუღალტრო ოპერაციის ნახვა ასევე შეგიძლიათ ძირითადი საშუალების სიიდან. მონიშნეთ გაერთიანებული ძირითადი საშუალება და დააჭირეთ ღილაკის გვერდით მდებარე შავ ისარს. ჩამოიშლება ჩამონათვალი:



აირჩიეთ ჩამონათვალიდან „გატარებები“